F329/11903
Библиотека ИМЭЛ
პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

არეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

ოთხშაბათი, 2 ივლისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

№ 537 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

ვლისიდან ჩვენი გაზეთი **„წითელი არმიელი“** ეღირება №--3 კაპ., თვიურად 70 კაპ.

ელ-არმიელთათვის ნაწილში ან სოფელში მიწოდებით 50 კაპ.

გაზეთ „წითელ-არმიელის“ კანტორა.

815

მოსავალი.

ოსავლის კითხვა დღეს ყველას ხევს. ეს სრულიად ბუნებრივია, გან ჩვენი ქვეყნის ეკონომიუ- წინსვლა უმთავრესად დამოკი- ულია კარგ მოსავლისაგან. ამ დენიმე კვირის წინად მდგომა- ბა ამ მხრივ მართლადაც, რომ უნ- მოთ ითვლებოდა. გვალვამ საბ- ა კავშირის ბევრ რაიონებს მია- ზიანი და ამითვე უქადიდა და- ჩენ ადგილებსაც, რომ არ მოეს- წვიმებს.

მ ჟამად კი ფიქრი უმოსავლობა- და შიმშილზე ყოველგვარ საფუ- ლს მოკლებულია.

იუხედავად იმისა, რომ გვალვამ ც შესძლო ზოგიერთი კუთხეე- მოსავლის საგრძნობლად დაზია- , საბჭოთა რესპუბლიკების წლე- ელი მოსავალი თავისი რაოდე- ბით თითქმის არ ჩამორჩება გასუ წლის საერთო რაოდენობას.

ოსავალი მაინც "კარგი და საკმაო ბა.

ურ-გლეხურ ხელისუფლების დღეს იმყოფება იმდენი პუ- არაგი, რომ ის სავსებით ეყო- ს საზღვარ-გარეთაც გასატანად ამშეულ რაიონების დასაკმაყო- ფილებლად.

მას თან უნდა დაუმატოთ ჩვენი რანსპორტო საშუალებათა გაუმ- ჯობესებაც. როგორც ვიცით 1921 ის შიმშილის სიმწვავე გამოწვეუ- იყო აგრეთვე გადასაზიდავ (სატ სპორტო) საშუალებების ცუდი კომარეობით. დანგრეული ხიდები, უკეთებელი რკინის გზები, სათა- ო სათბობი მასალის უქონლობა ველაფერი ეს მაშინ ძლიერ აბრ- ლებდა სწრაფი დახმარების საქმეს შილით მოცულ რაიონებისადმი. დღეს კი სულ სხვა მდგომარეო-

დღეს ტრანსპორტიც ჩინებულადაა დაყენებული, პური თავზე საყარად გვაქვს და ფულიც გვეშოვება.

მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ სტიქიურ „უბედურებისაგან, ჩვენ მომავალშიც არა ვართ უზრუნველყოფილი. აიხსნება ეს ჩვენი მეურნეობის ჩამორჩენილობით, უკულტურობით. გლეხი, რომელიც დილიდან საღამომდის ურტყამს თოხს ყანაში, ხარჯავს აუარება შრომას, ერთ მშვენიერ დღეს ხდება გვალვისა და სხვა ბუნებრივ სტიქიურ უბედურებათა მსხვერპლი.

რატომ?

იმიტომ რომ მან არ იცის თავისი მეურნეობის რაციონალურად ე. ი. როგორც ამას გვასწავლის აგრონომიული მეცნიერება, თავისი მიწის დამუშავება და მოხმარება.

ამიტომაც თითეული გვალვა, თითეული სხვა გვარის სტიქიური უბედურება, რომელიც იწირავს ხანდის ხან მთელი წლის სარჩოს, უნდა გახდეს ჩვენთვის საუკეთესო გაკვეთილი მომავლისათვის.

საჭიროა ამ თავითვე, როგორც მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ ისე თვით გლეხობაც შეუდგეს საერთო ძალღონით მიწის დამუშავების და ხმარების საქმის მოწყობას, როგორც ამას მოითხოვს აგრონომიის უბრალო ელემენტარული დებულებანი.

რასაკვირველია ჩვენ შორს ვართ ისეთი იდეალური პირობებისაგან, რომ შევიძლოთ ერთი მოსმით ამ მიზნის მიღწევა. მაგრამ ამ თავითვე ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა, რამდენად ამაში ჩვენი პირობები ხელს გვიწყობენ მეტად დროულია და დაყოვნებას არ ითმენს.

ინგლისი

პრემიერთა თათბირის გარშემო.

ინგლისის წრეები კმაყოფილი არიან.

ნგლისის პოლიტიკური წრეები ად კმაყოფილი არიან ერიოსა მაკდონალდის თათბირით. დიდი ილებაა აგრეთვე იმით, რომ შეერთებული შტატები თანახმაა მონაწილეობა მიიღოს ლონდონის კონფერენციაში.

ალგად მხოლოდ ხელის მოსაწერად.

რეიტერის სააგენტოს ცნობის თანახმად გერმანია დაშვებულ იქნება კონფერენციის ზოგიერთ სხდომაზე.

სამხრეთ-უელსის მემაღაროები პროფინტერნში შესვლის მომხრე არიან.

სამხრეთ-უელსის მემაღაროების კონფერენციამ აზრი გამოსთქვა შეუერთდეს პროფინტერნს. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ სასტიკ ზომებს პროფკავშირთა არა წევრ მუშების სამუშაოზე მიღების წინააღმდეგ.

ჩვენი სტუდენტები ინგლისში.

ლონდონში ჩავიდა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლების 25 სტუდენტი გემების საამშენებლო საქმის და რკინის გზების გასაცნობად.

გერმანია

გაზეთის ნაცვლად—თეთრი ფურცლები.

კომუნისტური გაზეთები გამოდიან თეთრი ფურცლებით წერილების ნაცვლად, რომლებსაც შეეძლოთ დევნა გამოეწვიათ რედაქციის წინააღმდეგ.

ლოკაუტი გერმანიაში.

ერთი დღის განმავლობაში ტიურინგიის 28 სართავ დაწესებულებამ გამოაცხადა, რომ მათ აღარ აქვს წარმოების სახსარი.

გერმანიის მსხვილი დაწესებულებები ფულის სიმცირის გამო ვერ აკმაყოფილებენ მუშათა ხელფასს. სწარმოებს მუშების შემცირება. საჭიროა მცირე უთანხმოება მუშებთან, რომ დაწესებულებამ ლოკაუტი გამოაცხადოს და დახუროს დაწესებულება.

მოითხოვენ ერთი თვის ვადას.

თავის პასუხში ელჩთა კონფერენციის ნოტაზე გერმანიამ მოითხოვა ერთი თვის ვადა და მასთან კონტროლის დაწყება ყოფილ სამხედრო ქარხნებიდან.

გაზეთების დახურვა.

დაიხურა ორი კვირით კომუნისტური გაზეთები „როტე-ფანე“, „ფოლკსვახტი“ და ტევტონთა გაზეთი „დეიჩე ცეიტუნგი“.

დერრის განთავისუფლება.

განთავისუფლეს პატიმრობიდან ქალაქის ხმოსანი კომუნისტი დერრი.

კავშირებს გაფიცვის უფლება ეკარგებათ.

გერმანიის გზათა სამინისტრომ მოითხოვა რკინისგზელებიდან—გამორიცხულ იქნას წესდებიდან მუხლი, რომელიც ითვალისწინებს გაფიცვების დაშვებას. წინააღმდეგ შემთხვევაში პროფკავშირს ემუქრებიან სამინისტროს თათბირზე დასწრების აკრძალვით.



— რა გავლენას მოახდენს „დობროქიმის“ გაძლიერება ბურჟუაზიაზე.

კომინტერნის მეხუთე კონგრესი

27 ივნისის დილის სხდომა.

ამხ. ბუხარინის მოხსენება.

კომინტერნის პროგრამის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბუხარინი, რომელმაც აღნიშნა, რომ კონგრესმა უნდა მიიღოს პროგრამის პროექტი და დაუგზავნოს ის სექციებს განსახილავად. კომინტერნი აცხადებს თავის თავდადებას რევოლიუციონურ, მატერიალისტურ მარქსიზმისათვის იმ დროს, როდესაც სოციალ-დემოკრატია უბრუნდება იდეალისტურს, მარქსამდი არსებულ ფილოსოფიას. გარდამავალ პერიოდში პროლეტარიატი უნდა დაუკავშირდეს გლეხობის ცნობილ ნაწილს, წინააღმდეგ მემამულეთა და ბურჟუაზიის კავშირისა, ნეპი ამ პერიოდის საუკეთესო სწორი პოლიტიკაა, ვინაიდან ამ პერიოდში კიდევ არსებობენ წვრილი მწარმოებლები.

აგრარულ საკითხში ჩვენ მომხრე ვართ მსხვილი მეურნეობისა. ჩვენ გვსურს გლეხთან კავშირი და მომხრე ვართ მიწის გაყოფისა.

ბუხარინის სიტყვით თავდება დილის სხდომა.

თანამომხსენებელი ამხ. ტალგეიმერი.

თანამომხსენებლად კომინტერნის პროგრამის შესახებ გამოვიდა ამხ. ტალგეიმერი, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის გამომმუშავებელ კომისიაში არსებობდა უთანხმოება რამოდენიმე საკითხში, რომლებშიაც შემდეგ მოხდა შეთანხმება.

სამხ. კომუნიზმი და ნეპი.

ამხ. ტალგეიმერი ეხება სამხედრო კომუნიზმსა და ნეპს და აღნიშნავს, რომ ისინი სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა ფორმას მიიღებსო.

მიწის საკითხი.

მიწის საკითხის შესახებ ამხ. ტალგეიმერი აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიულ რეფორმებს კომინტერნი წინ უყენებს ლოზუნგს: „მიწის დარიგება უმიწაწყლო გლეხებში ყოველგვარ სასყიდლის გარეშე“.

ნაციონალური საკითხი.

ნაციონალურ საკითხში კომინტერნის პროგრამა ითვალისწინებს ნაციონალური მოძრაობის დამორჩილებას საერთაშორისო კლასიურ ბრძოლისადმი,

გარდა თვითგამორკვევის უფლებისა კომინტერნი აყენებს ყველა რასისა და ერის თანასწორობის ლოზუნგს.

პარტიის როლი

პარტიის როლის შესახებ პროგრამაში აღნიშნულია, რომ კომპარტიები არიან კლასიური პარტიები, რომლებიც მოწოდებული არიან აწარმოონ ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

დეკლარაცია ოპოზიციის შესახებ.

გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის დელეგაციების სახელით შემოდის შემდეგი განცხადება: „ოპოზიცია მიმართული იყო

არა მარტო რკპ-ს ცეკას წინააღმდეგ, არამედ კომინტერნის ინტერესების წინააღმდეგ.

მე 5-ე კონგრესი სავსებით იწონებს რკპ-ს მე-13-ე ყრილობის გადაწყვეტილებას:

დეკლარაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

27 ივნისის საღამოს სხდომა.

ამხ. რიკოვის მოხსენება.

კონგრესის სხდომა მოხდა დიდ თეატრში მოსკოვის პროლეტარიატის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამხ. ამხ. ზინოვიევისა და რიკოვის გამოსვლას დელეგატებმა დიდი ოვაციები გაუმართეს. დამსწრეებმა იმღერეს ინტერნაციონალი. ამხ. რიკოვი მოხსენებას აკეთებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობაზე და რკპ-ს დისკუსიაზე, ამხ. რიკოვს ხშირად აწყვეტინებენ სიტყვას მხურვალე ტაშით რომელიც ბოლოს ოვაციებში გადადის.



ამხ. **ბუხარინი.**
კომინტერნის მეხუთე კონგრესის წევრი.

მუშების გამოსვლა.

ამხ. რიკოვის შემდეგ გამოვიდნენ მოსკოვის ფაბრიკა—ქარხნების მუშები, რომლებმაც მიულოცეს კომინტერნს და ნიშნეს, რომ დისკუსიის დროს ისინი სავსებით უჭერდენ მხარს ცეკას. მუშებმა გადასცენ კონგრესს მრავალი ძვირფასი საჩუქრები. კონგრესის სახელით ამხ. ბრონეინმა მადლობა გამოუცხადა მოსკოვის პროლეტარიატის წარმომადგენლებს.

მატეოტის მკვლელობის გარშემო.

გაფიცვები 10 წუთით.

მატეოტის მკვლელობის გამო მთელ იტალიაში შეჩერებულ იქნა მუშაობა ათი წუთით, პროტესტის ნიშნად.

ხალხი ჯგუფ ჯგუფად მოდიოდა იმ ადგილას, სადაც მოტაცებულ იქნა მატეოტი, მუხლს იხრიდნენ და აწყობდენ ყვავილებს. ისმოდა ხმები—„ძირს დაქირავებული მკვლელები“! გამოჩნდა ცხენოსანი პოლიცია, რომელმაც ვერავითარი ზომა ვერ მიიღო, როდესაც დაინახა მუხლ მოხრილი ხალხი გაუშვებით.

ლონდონის მუშათა დემონსტრაციი.

ლონდონში მოხდა საპროტესტო დემონსტრაცია მატეოტის მკვლელობის გამო. დემონსტრაცია მოაწყო დამოუკიდებელ მუშათა პარტიამ. მიწვეული იყვნენ ლონდონის მუშათა ყველა ორგანიზაციები. მონაწილეობდა კომპარტიაც და ლონდონის ტრედიუნიონთა საბჭო.

პარლამენტის მუშათა დეპუტატები, მიუხედავად დაპირებისა, დემონსტრაციაზე არ მოვიდენ. სიტყვები წარმოსთქვეს კომუნისტებმა საკატვალამ და გალახერამ, რომლებმაც გააშუქეს კომუნისტური თვალსაზრისი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში. ორატორებს აღფრთოვანებით შეეგება მუშები.

გერმანია დასთანხმდა ყოველგვარ პიროებზე.

გერმანიის მთავრობამ გამოიმუშავა პასუხი საკავშირო საკონტროლო კომისიის ნოტაზე. პასუხში გამოთქმულია გერმანიის თანხმობა—მიიღოს მოკავშირეთა ყველა პირობები და მოთხოვნილებები გერმანიის შეაიარაღებაზე კონტროლის შესახებ.

პუანკარეს პოლიტიკა ტარდება.

ერიოს მთავრობამ უარყო გერმანიის კაბინეტის წინადადება—ეწარმოებიათ პირდაპირი მოლაპარაკება ხელშეკრულების განახლების შესახებ ინჟინერთა საკავშირო კომისიასთან. ერიომ განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობას შეუძლია გაგზავნოს თავისი წინადადება ინჟენერთა კომისიაში მრეწველთა საშუალებით.

ერიოს მთავრობის ასეთმა მოქმედებამ იმედი გაუცრუა გერმანიის საზოგადოებრივ წრეებს.

მუშათა კონგრესის აკრძალვა.

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა იარესმა აკრძალა მუშათა კონგრესი, რომელიც უნდა შემდგარიყო 29 ივნისს ლეიპციგში.

თავის ჭკუაზე სურთ.

„ბერლინერ ტაგებლატი“ გამოსთქვამს აზრს ლიტვინოვის მოთხოვნილების წინააღმდეგ. სავაჭრო წარმომადგენლობის ძველი მდგომარეობის აღდგენის შესახებ. გაზეთი აღნიშნავს, რომ სავაჭრო წარმომადგენლობას არ შეიძლება მიენიჭოს ექსტერიტორიალობა.

ნებართვა კომუნისტ-დეპუტატის დაჭერის შესახებ.

რეიხსტაგის საორგანიზაციო კომისიამ ხმის უმეტესობით კომუნისტების, სოციალ დემოკრატების და ტევტონელთა წინააღმდეგ დაადგინა ნება დართულ იქნას კომუნისტი დეპუტატის გელდმანის დაჭერა.

საბჭოთა ფედერაციაში

ლენინის სურათები.

ვინაიდან გამოსულია ლენინის დიდძალი სურათები და ბიუსტები, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში არავითარი მსგავსება არ აქვს მასთან, სრულიად კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა აიკრძალოს გადაღება, გაყიდვა და გამოფენა ლენინის სურათებისა და ბიუსტების, გარდა ფოტოგრაფიული სურათისა, განსაკუთრებული კომისიების უნებართვოდ.

კომისიის მიერ დაწუნებული ლენინის სურათების გავრცელება აკრძალული იქნება. ამ დადგენილების შესრულებაზე თვალყური უნდა ადევნოს საკავშირო რესპუბლიკების ორგანოებმა. ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხის გებაში იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის კოდექსის ძალით.

უფასოდ მგზავრობის ვადის გაგრძელება.

სრულიად საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გაგრძელებულ იქნას უფასოდ მგზავრობის ვადა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთათვის 10 ივლისამდი.

სრულიად საკავშირო ფინმომუშავეთა თათბირი.

სახელ. ბანკის ბალანსი განუწყვეტლივ იზრდება.

სრულიად კავშირის ფინმომუშავეთა უკანასკნელ თათბირზე გამორკვეულ იქნა, რომ სახელმწიფო ბანკის ბალანსი განუწყვეტლივ იზრდება. 1923 წლის 1 იანვრისთვის ბალანსის ჯამი უდრიდა 131 მილიონ მანეთს ოქროთი, მიმდინარე წლის 1 მაისისათვის—451 მილ[illegible]ონ მანეთს, რაიც შეადგენს ძვე[illegible] სახელმწიფო ბანკის ბალანსის [illegible]ხევარს.

სახელბანკს ამ ჟამათ ხელთ ა[illegible] თავმოყრილი თანხა 850 მილიო[illegible] მანეთი.

მოსავლის დღე.

კომკავშირის ცეკასთან არსებულ მოსავლის დღის მომწყობმა კომსიამ დაადგინა ჩაატაროს მოსავლ[illegible] დღე უფრო ფართე მაშტაბით.

ჯანმრთელობის განყოფილებათა გამგეობის ყრილობა.

სსსრკ-ს ჯანმრთელობის განყოფილებათა ყრილობაზე ამხ. სემაშკომ განაცხადა, რომ დადგა დრო, როცა სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი შრომისა და ცხოვრების გამოჯანსაღების გეგმა. მედპუნქტები უნდა გადაიქცეს ჯანმრთელობ[illegible] პუნქტებად. ამ მუშაობაში უნ[illegible] ჩაბმულ იქნეს მშრომელთა ფარ[illegible] მასები. სოფლის მედპუნქტები უნ[illegible] გადაიქცენ სოფლის მშრომელთა გ[illegible]ჯანსაღებელ პუნქტებად.

მასწავლებელთა სალამი.

მოსამზადებელ კურსებზე თავმოყრილმა სოფლის მასწავლებლებმა მიესალმეს რკპ-ს ყირიმის საოლქო კ[illegible]მიტეტის პლენუმს.

პროტესტი ბელგიის წინააღმდეგ.

ცენტრო-კავშირმა პროტესტი გაუგზავნა გენტის საერთაშორისო გამოფენის მომწყობ კომისიას წიგნის „ლენინი და კოოპერაცია-ს“ ჩამორთმევის გამო ბელგიის მთავრობის მიერ. კომინტერნის კონ[illegible]რესმა მიიღო ცნობა წიგნის უკან[illegible]ნოდ ჩამორთმევაზე. კონგრესმა [illegible]თხმად მიიღო პროტესტის რეზოლ[illegible]უცია.

რადიო ყოველ მხრიდან

ერთი მილიონი ემიგრანტი საზღვარ გარედ.

ერთა ლიგამ მიიღო დაწვრილებითი ცნობები რუს ემიგრანტების რაოდენობის შესახებ საზღვარ-გარედ. ბელგიაში იმყოფება 1.000 გარდახვეწილი ოჯახობით, შვეიცარიაში 33.000, საფრანგეთ[illegible] 400.00, გერმანიაში—500.000, ო[illegible]მალეთში—29, რუმინეთში—30. [illegible] პოლონეთში 70.000.

ბულგარეთი.

მუშათა ფრაქციის გადასვლა კომპარტიაში.

ბულგარეთის ნაციონალურ კრების დამოუკიდებელმა მუშათა ფრაქციამ აცნობა კრების პრეზიდიუმს, რომ გარდაიქმნა კომუნისტურ პა[illegible]ტიად.

გერმანიის პროლეტარიატის ხსნა მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციაშია.

გერმანიის მთავრობამ მოკავშირეებს გაუგზავნა ნოტა, სადაც ის თანახმაა ექსპერტების კომისიის დადგენილებებზე და საერთოდ მოკავშირეთა ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ამით გერმანიის ბურჟუაზიამ და მისმა ერთგულმა მონა მორჩილმა სოციალ-დემოკრატიამ ოფიციალურად დაადასტურეს თავისი მოღალატეობა და გამყიდველობა გერმანიის მშრომელთა მასების წინაშე.

ექსპერტთა დადგენილებების მიღება ნიშნავს ისედაც გაჭირვებულ და გაწამებულ გერმანიის პროლეტარიატის კისერზე საშინელი ექსპლოატაციის და გაყვლეფის მძიმე უღლის დადებას.

გერმანიის ბურჟუაზია, რომელიც 1922 წელში მოუწოდებდა გერმანიის მუშებს პასიურ წინააღმდეგობის გაწევისაკენ საფრანგეთის ოკუპანტების წინააღმდეგ, დღეს ქედს იხრის იმავე ოკუპანტების წინაშე, აცხადებს, რომ ერთად ერთი გამოსავალი არსებულ კრიზისიდან, ერთად ერთი ხსნა გერმანიისო—არის ექსპერტთა კომისიის დადგენილებების გატარებაშიო.

გერმანიის ბურჟუაზიო 1922 წელში ვერ შეუთანხმდა საფრანგეთის მტაცებლებს გერმანელ მუშების გაყვლეფის საქმეში, ხოლო ამ ჟამად კი ამას მიაღწია და ამიტომ არის, რომ ასე უდავოდ მიიღო მოკავშირეთა მოთხოვნილებანი, რომელთა განაღდებაში მასაც საკმაოდ დიდი წილი ექნება.

გერმანიის ბურჟუაზია ყველაფერს გაყიდის: სამშობლოსაც. სინდის, მხოლოდ სქელი ჯიბეებს ის არასდროს არ დასთმობს.

ამ უკანასკნელის დაკარგვაზე ის არას დროს არ დასთანხმდება. ამიტომაც მას ურჩევნია გერმანიის ხალხის დამონავება, მისი დამორჩილება ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის ხიშტების, დრედნოუტების საშვალებით და მოგების განაწილება გუშინდელ მტერთან, ვინემ აჯანყებულ მუშებისა და კომუნისტური რევოლიუციის საფრთხის მუდმივ მოლოდინში იყოს.

გერმანიის კაპიტალისტური პრესა შეხმატკბილებულად სოციალ-გამყიდველების გაზეთებთან. ენერგიულად კამპანიას აწარმოებს ექსპერტთა კომისიის დადგენილებათა სასარგებლოთ და მოუწოდებს მშრომელ ხალხს მხარი დაუჭიროს მას, რადგან ის, ვითომც შეამსუბუქებს მუშების მდგომარეობას.

მართლადაც კარგ რამეს უნდა მოელოდეს გერმანიის პროლეტარებებისაგან ექსპერტთა დადგენილებებისაგან? არავითარ კარგს, გარდა მეტი გაყვლეფისა, მეტი სიმშილისა და უარესი გაღატაკებისა როგორც კი დაიწყება თუ არა ხსენებული პროექტის განხორციელება მყისვე მარტო 200.000 რკინის გზელი დარჩება ქუჩაში უმუშევრად.

თუმცა ფულის სტაბილიზაცია ე. ი. მტკიცე ფულის ნიშნების შემოღება შესძლო მარქსის მთავრობამ, სამ სამაგიეროთ ფული ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილების 50 პრ. ამ ნიადაგზე ბოლო ხანებში გახშირდა მრავალ წამოწყებათა, ფაბრიკა ქარხნების გაკოტრება, რასაც შედეგათ მოსდევს უმუშევრობის ზრდა.

ერთი სიტყვით გერმანიაში კვლავ იზრდება ახალი კრიზისი, რასაც მოსდევს მასების უკმაყოფილების ზრდა.

ასეთ პირობებში რასაკვირველია გერმანიის ბურჟუაზიას გაუძნელდება მოკავშირეთა დადგენილებების ცხოვრებაში გატარება. ამიტომ ის წინასწარ ამზადებს ნიადაგს ამ მიზნის მისაღწევად.

უპირველეს ყოვლისა გერმანიის მთავრობამ კვლავ ამოიღო ნიშანში კომპარტია, რომელიც ერთად ერთი არ ღალატობს გერმანიის პროლეტარიატს და სასტიკი მტერია ექსპერტთა კომისიის დადგენილებების გატარებისა ცხოვრებაში. კვლავ გახშირდა კომუნისტური გაზეთების დახურვა, კომუნისტების ბელად[illegible] დაჭერა. გერმანიის პოლიცია რ[illegible]სტაგის კომუნისტ-წევრებსაც [illegible]პამრებს.

მეორე მხრივ მთავრობა [illegible]ზინ[illegible] პროფკავშირებს არ გაბედო[illegible] გა[illegible]ცვის მოწყობა.

გერმანიის გზათა მინისტრ[illegible]მა უბ[illegible]ძანა რკინის გზელთა პროფ[illegible]კავშირ[illegible] რათა ამორიცხონ წესდები[illegible]დან მ[illegible]ლი გაფიცვების გამოცხად[illegible]ების შ[illegible]სახებ.

აი როგორი ენერგიით[illegible] შეუდ[illegible] გერმანიის ბურჟუაზია და მისი ე[illegible]თგული თანამებრძოლი მუშა[illegible] კლასის წინააღმდეგ გამცემი სოციალ[illegible] დემოკრატია, იმპერიალისტური ა[illegible]ტანტის გეგმების განხორციელება[illegible]

გერმანიის მშრომელი ხალხი კვლ[illegible] სდგას მწარე და უნუგეშო დღეებ[illegible] წინაშე. კვლავ მის წინ ისახება შ[illegible] მშილის მომავალი, 12 საათიანი მძ[illegible]მე სამუშაო დღეები და დასასრუ[illegible]ულუკმა პუროთ ბედის-ანაბარა ქ[illegible]ჩაში ხეტიალი.

და კვლავ მის წინ იჭრება საკი[illegible]ხი მტკიცე ხელებით გამოგლიჯო[illegible] მტარვალებს ძალაუფლება და მო[illegible]ღოს მათ ბატონობას ბოლო.

შესძლებს ის ამას?

დიაღაც შესძლებს, რადგან მ[illegible] სათავეში ყავს ბრძოლებში გამ[illegible]ბრძმედილი ძლიერი გერმანიის კ[illegible]მუნისტური პარტია.

—ფ.

ჩვენს წითელ კარში

კულტურულ ფრონტზე.

მე-3-მე ქართულ ლეგიონში ყო- კვირაში გამოდის კედლის გა- ები: „წითელი მებრძოლი," „წი- ლი წკეპელი" და „ჩირაღდანი". შორის მეტად საინტერესოა და ანიშნავი იუმორისტიული კედ- ს გაზეთი „წითელი წკეპელი" რო- ისაც რედაქტორობს ამხ. „გა- ვდა". „წითელი წკეპელი" წითელ იელების განსაკუთრებულ ყურად- ებას იქცევს. უკანასკნელი ნომერი აც გამოქვეყნებულია „გავარდას" ანება მეტად კარგ შთაბეჭდილე- სტოვებს.

აზეთში თანამშრომლობენ, რო- ც წითელ არმიელები ისე უფ- ლიტ შემადგენლობაც. საერთოდ. ლის გაზეთს დიდი ნაყოფი მო- დამშვენებულია კარიკატურებით მლებიც აღებულია ლეგიონის ვრებიდან. დიდი მადლობის ღირსია, როგორც რედაქტორი გავარდა ისე მისი თანამშრომლები. განსაკუთრებით რედაქტორია, რადგან ის იყო პირველი ინიციატორი ამ საქმის და მან პირველმა თავისი ძალღონით გამოუშვა გაზეთის პირველი ნომერი. რომელმაც იმ წამსვე მიიქცია ლეგიონის შემადგენლობის ყურადღება.

გაზეთი გაკრულია ლეგ-შტაბის შესავალ კარებთან, სადაც აუარება მკითხველები იყრიან თავს. ჩემის ფიქრით უკეთესი იქნებოდა გაზეთი ყველა ათასეულებში იქნას გაკრული, ეს ასედაც ხდებოდა ამდენს ხანს, მაგრამ წ. არმიელების დემობილიზაციამ შეაფერხა საქმე. საჭიროა ეხლა დაუბრუნდეთ, ამ ჩვეულებას, რომ უფრო მეტი წითელ არმიელთა მასა გაეცნოს გაზეთს.

ს. სამტრედიელი.

გლეხებთან ერთად.

ქართულ მეთაურთა სამხედრო ლა ენერგიულად ჩაება გლეხებ- მუშაობაში. მთელი ჩვენი გუ- ა ყური აქეთკენაა მიმართული. ელი თავისუფალი წუთი გლე- თან, აი ჩვენი დევიზი ბანაკში. მხრივ რამდენი განსხვავებაა ჩვენ- და ძველი, მეფის დროის კურ- ებს მორის. მთელი ჩვენი ენე- ია იქეთკენაა მიმართული, რომ ელი არმიის დიადი მიზნები და- ლოვით გლეხებს და შევაგნე- თ მუშების, გლეხების და წითე- არმიის გაერთიანებული ფრონ- მნიშვნელობა საბჭოთა ხელის- ლებისათვის.

ანაკში მისვლისთანავე გავეშუ- სოფლებისაკენ ჟურნალ-გაზე- ით, გავმართეთ მოხსენებები, ვიახლოვებდით გლეხებს, უხსნიდით მათთვის საჭირ-ბოროტო საკითხებს —რომლებშიდაც აქამდე ვერ გარკვეულიყვნენ.

მეორე მხრივ სამხედრო სკოლის კომკავშირის უჯრედიც ამოქმედდა. მან სავსებით შესძლო იმ ბურუსის გაფანტვა, რომელსაც მოეცვა ადგილობრივი გლეხობა. დაარსებული იქნა პოკოლექტივი, რომელიც შეუდგა მუშაობას გლეხთა ორგანიზაციებში. გაიბა კავშირი სხვა და სხვა რაიონულ ორგანიზაციებთა და გამომუშავდა საერთო მოქმედების გეგმა. გლეხებიც თანაგრძნობითონ უცქერიან ჩვენს საქმიანობას და ეს მით უფრო აადვილებს ჩვენ მოქმედებას კულტურულ ფრონტზე.

დ. ცინცაძე.

ქართულ მეთაურთა სკოლა.

ივნის ქართულ მეთაურთა ის მე-3-მე ასეულში გაფაცი- ნილი მოძრაობაა.

გარსანტები ემზადებიან. ამაღამ ო იმართება. მოველით სტუმ- უბაც. უნდა გვეწვიონ აღერბეი- და სომხეთის სამხედრო სკო- კურსანტები.

რსანტებთან ერთად გაცხოვე- ულ მზადებაში არიან უფშემად- ობაც.

ამოს აუარება წითელ არმიელში დაესწრო. რუსების, სომხების და ქართველების მხიარული სახეები ერთმანეთში ირეოდენ.

დაიდგა შ. დადიანის პიესა „გეგეჭკორი." მშვენივრად იქნა ჩატარებული.

პიესის დაწყებამდე რუსულ ენაზე განმარტებული იქნა მისი შინაარსი სტუმრ ამხანაგებისათვის. საღამო შინაარსიანი შეიქნა და დამსწრე საზოგადოებაც მეტად ნასიამოვნები დაიშალა.

ავა.

ქართული გაზეთები მაინც აუცილებელია.

თქმის ყოველ დღე დავიარები ნიზონო ყარაულში. მთელი ღამით მოწყვეტილი ვართ გაზე- გავთავისუფლდებით თუ არა ურებთ იქვე კავკასიის წითელ ოვან არმიის საგარნიზონო საზა- ო კლუბში. იმედიანად მივდი- ვენც გავიგებთ თუ რა ხდება ნაზეთქი.

მაგრამ გაცრუვდება იმდები ბში აუარება გაზეთებში არ ერთი ქართული გაზეთიც.

იძულებული ვხდებით ყურებ რილი ისევ უკან დავბრუნ-

აბა რომ ვიცოდეთ რუსული ა კარგია მაგრამ...

— ერთხელ მოვიკრიბე ძალა, გამბედაობა გამოვძებნე ზოგიერთი რუსული სიტყვები და საშინელი დამტვრეული ენით შევეკითხე რუს ამხ. წითელ არმიელს გადმოეცა ჩემთვის თუ რა ეწერა გაზეთებში. რა ვიცოდი თუ ნათქვამსაც ვერ გავიგებდი. მე—ის კი მიყვებოდა რაღაცას, მაგრამ მე არაფერი მესმოდა. ძალა უნებურად ასკილივით ვაქნევდი თავს. ნეტავი კისერი მომტეხოდა და ხმა არ ამომეღო.

ქართული გაზეთები აქ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ქართველი წითელ ლაშქრელები მრავლად დაირებან აქ და გაზეთებითაც დაინტერესებული არიან, ნუ მოუსპობთ საშუალებას ამხანაგებს თავის მშობლიურ ენაზე გაიგონ ქვეყნის ამბები, მით უმეტეს ამ საქმის მოგვარება აქ არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს.

წ. არმიელი ნოზაძე.

ცენტრალურ კლუბში.

22 ივნისის საღამოს 9 საათია. გაჩაღებულია კლუბის დარბაზი.

გუგუნებს ცხენოსან ლეგიონის სამხედრო ორკესტრი. აუარება საზოგადოება. წითელ არმიელები, უფპოლიტ შემადგენლობა ცოლშვილით.

გაფაციცებით ათვალიერებენ კლუბს ახალწვეულები.

მაგრამ მათი ყურადღება უეცრივ ფარდა ახდილმა სცენამ მიიქცია.

გაისმა საამური ხმა. საოპერო სტუდიის მოწაფეთა მონაწილეობით შესრულდა რამოდენიმე სიმღერები. ჟრუანტელი გივლის კაცს აკრიალებულ ხმების სამეფოში.

სულგანაბული დარბაზი. ხახა დაღებილი მისჩერებიან ახალწვეულები. დაუსრულებელი ტაშით აჯილდოებენ მომღერლებს.

მეორე განყოფილება იწყება ბალეტით.

აქაც სახელმწიფო ოპერის მსახიობები მონაწილეობენ.

გიჟური, მოსხლტელი და ხან კი განაბული სრიალით ჯადოვდება დარბაზი. მოცეკვავე—მოცეკვავეს სცვლის, ფეხები მიფრინავს, ხელები ჯადოსნურად იკლაკნება სცენის სივრცეში--ეს მოცეკვავე ქალი რატუშენკოა. დაიმონავა დარბაზი მისმა თავშეუკავებელმა ქროლვამ. ტაში დაუსრულებელი, ხელები იმტვრევა, რამოდენიმეჯერ გამოყავთ სცენაზე გამარჯვებული ქალი.

— ეჰ კარგად კი ცეკვავს მარა. სოსო შენ მაინც ვერ გაჯობებს არა?

ეკითხება ერთი ახალწვეული მეორეს.

— მე რა ვიცი და, შენთან კი რა გამოჩნდება. უპასუხა მეორემ—სდგა საერთო სიცილი ახალწვეულებში.

აი კიდევ მესამე განყოფილება იწყება იმერული სცენებით.

ერთობ უფერული იყო. სცენებს ბევრი მარილი აკლდა.

საერთოდ საღამო მეტად შინაარსიანი იყო და საზოგადოებაც დიდი კმაყოფილი დაიშალა.

ს.

რაზედ ვწერენ

(კლდის ნაგლეჯიძის საპასუხოდ).

გაზ. „წითელ არმიელის № 535-ში ამხ. კლდის ნაგლეჯიძე ეხება ჩვენს კლუბს და სწერს:

„ჩვენი კლუბი შედარებით სხვა ნაწილების კლუბებთან ძლიერ დარიბია, თითქმის ულარიბესად უნდა ჩაითვალოს.

ამ სიტყვებით იწყებს ამხ. კლდის ნაგლეჯიძე თავის წერილს.

მე სრულიად ვეთანხმები ამხანაგის აზრს, მაგრამ თავის თავად იბადება საკითხი: „რათ არის ასეთი მდგომარეობა ცხენოსან ლეგიონის კლუბში"?

ჩვენ გვყავს 4 შეფი, მიწად-მოქმედების კომისარიატი, კოოპერატივი „კომუნა", საზოგადოება „კახეთი" და „გლავშვეიპრომი", მაგრამ ლეგიონის კლუბს მათგან კაპეიკიც არ მიუღია.

23 თებერვლიდან ზემოაღნიშნულ ფაქტითვე აიხსნება ის მდგომარეობაც რომ ცხენოსან ლეგიონის კლუბის დარბაზი „არ არის მორთული და მოკაზმული ათას გვარ პლაკატებით" როგორც ეს უნდა ამხ. კლდის ნაგლეჯიძეს.

სრულიად არა ვართ ამით დაინტერესებული. ჩვენთვის უფრო ღირებულია წითელ არმიელების შემოქმედება, რომელიც ამ ჟამად ამშვენებს ჩვენს კლუბის კედლებს. ჩვენ გვინდა წ. არმ. კლუბებში თვით წ. არმ. შემოქმედება, და არა დაქირავებულ მხატვრების ნაწარმოები ამასთანავე კლუბის დარბაზებს ვერ გადავაკეთებთ „სამხატვრო გალერეიებათ". ეს არ არის ჩვენი მიზანი. „თვით სცენის დეკორაციები, ძველი, დახეული და უვარგისია"-ო სწერს ამხ. კლდის ნაგლეჯიძე. ამხანაგო, განა ჩვენ არ ვხედავთ ამას? განა არ ვღებულობთ ყოველგვარ ზომებს—რომ ეს ძველი დეკორაციები იქნენ შეცვლილნი ახლებით?—მაგრამ ხომ კარგათ იცით ამხ. კლდის ნაგლეჯიძე, რომ ასე უცბათ არაფერი არ კეთდება. დეკორაციები უვარგისად სცნო ამ ერთი კვირის წინად სპეციალურად დანიშნულმა კომისიამ. რის გამო მალე პოლიტგანყოფილებიდან ლეგიონის კლუბი მიიღებს 38 მან. ახალ დეკორაციების შესაძენათ, რომლებიც დამზადებული იქნებიან ჩვენი ლეგიონის მოსვლამდე საბანაკოდან.

რაც შეეხება ფასიან წარმოდგენებს, რომელიც ძალიან აინტერესებს ამხ. „კლდის ნაგლეჯიძეს" უნდა უპასუხო: თანახმად ცხენ. ლეგ. კლუბის გამგეობის დადგენილებისა ლეგიონის კლუბში გამართულ წარმოდგენებზე გარდა წ. არმ. და უფ პოლიტადმსამნმედვეტ- შემადგენლობისა, თავიანთ ოჯახობით, დაშვებულ უნდა იქმნენ კერძო პირებიც ფასით, რიცხვით ასამდე. მათ დათმობილი აქვთ პარტერის მარცხენა მხარე.

ამხ. კლდის ნაგლეჯიძე თქვენ კარგათ უნდა გახსოვდეთ, რომ შეფები ყურადღებას აღარ გვაქცევენ და სწორეთ ამ კერძო პირებისაგან შემოსულ ფულით ვახერხებთ წარმოდგენების დადგმას. ამ ფულითვე ვისტუმრებთ კასტუმების ქირას, მსახიობ ქალებს, ვიძენთ რეკვიზიტს და სხვა.

დღეს დღეობით ლეგ-კლუბს ამ შემოსავლიდან დარჩენილი აქვს 51 მან. 47½ კაპ. რომელიც უნდა მოხმარდეს ლენინის კუთხის მოწყობას ბანაკში.

მაშასადამე აქ მარტო სიტყვები არ არის. აქ საქმეც ყოფილა და მუშაობაც.

შ. ცაგარელი.

ქართ. დივ. სამხედრო ტრიბუნალში.

სახაზინო ქონების მითვისება და გაფლანგვა.

30 ივნისს, რევტრიბუნალმა თავმჯდომარის გოგიჩაიშვილის და კოლეგიის წევრების გაბუნიას და ქარქაძის შემადგენლობით გაარჩია წითელი მეთაურის ბიქტორ ყანჩაველის და წით. მოლაშქრის შალვა შელიას საქმე.

ვინ არიან ბრალდებულნი.

ყანჩაველი 25 წლის ახალგაზრდაა, კომკავშირის წევრი, სოფ. მცხეთიდან. შელია—კომკავშირის წევრია ფოთიდან.

ყანჩაველს ბრალად ედება ერთი კუბ. საჟ. შეშის, 17 ნახ. გირ ბრინჯის, საკარავო ხე-ტყის მასალის, სახაზინო ქონების (წითელ მოლაშქრესათვის დანიშნული საცვლები) გაფლანგვა, უკანონოთ საოჯახო ულუფის მიღება, სახაზინო ცხენით ქორწილში ქეიფი და სხვა ანუ 1) სახაზინო ქონების სისტემატიურ მითვისებაში, 2) ხელისუფლების ბოროტათ გამოყენებაში და 3) უმოქმედობაში.

შელიას ბრალი ედება ერთი ფუთი ზეთის მითვისებაში და თაღლითობაში ანუ ს.ს.კ. 116 მ. 1 ნაწ. და 193 მუხ.

საქმის გამოძიება.

საქმის გამოძიებამ გამოარკვია, რომ ბრალდებული ყანჩაველი იყო სურამში, მესამე ლეგიონის საკარვო ჯგუფის უფროსად. ერთხელ იგი წავიდა ქუთაისში მიიღო 1 კუბ. საჟ. შეშა და 17 ნახ. გირვ. ბრინჯი, გაყიდა და ფული თითონ მიითვისა. სურამში კი მისი ხელქვეითი წითელ არმიელები სიცივით შეწუხებულნი იყვნენ. ყანჩაველის განკარგულებით წით. არმიელები სწვავდნენ ხე-ტყის მასალას. ბოლოს ჩაბარებისას ხე-ტყის მასალა მას დააკლდა. საკუჭნაოში ყანჩაველს ჰქონებია აგრეთვე შაქარი. რადგანაც დღე საკუჭნაოსთან დარაჯი არ იდგა ვიღაცას მოეპარა იქიდან 27 გირ. შაქარი. აღნიშნული გარემოების გამო ყანჩაველს მიუმართავს წითელი მოლაშქრეებისათვის, რომ მათ გადაეღო თითოს ნახევარ-ნახევარი გირვ. შაქარი და ზარალი ანაზღაურებული იქნებაო.

ქეიფი ქორწილში.

ცხინვალში ვიღაც ქორწილს მართავდა დაუპატიჟაათ ამ ქორწილში ყანჩაველი და მეკუჭნავე. ყანჩაველს არც უციებია არც, უცხელებია და გამგზავრებულა ქორწილში საქეიფოთ ლეგიონის ცხენით. ამისათვის მას არავითარი ნებართვა არ უთხოვია არავისგან,

თავის უფროსებისათვის ყანჩაველს არ უცნობებია აგრეთვე პატაკით წ. არმ. ახალკაცის დეზერტირათ გაქცევის შესახებ.

რა ჩაუდენია შელიას.

წით. მოლაშქრე შელიას ქუთაისში მესამე ლეგიონიდან მიუღია 4 ფუთი ზეთი. გზაში მას გაუყიდნია ერთი ფუთი და ბოროტ-მოქმედება რომ დაეფარა დანარჩენ ზეთისათვის ჩაურევია წყალი და ამ სახით მიუტანია ნაწილში. გარდა ამისა მას უხარჯავს აგრეთვე ხორცი თავის პირადი საჭიროებისათვის და საბუთებში შეჰქონდა ყალბი ცნობები.

განაჩენი.

ბრალდებულ ყანჩაველს მიესაჯოს სახაზინო ქონების გაფლანგვა—მითვისებისათვის თავისუფლების აღ-

კვეთა 1 წლით გამსახლში მოთავსებით, თანახმად სსკ 116 მ. 1 ნაწილისა მასვე უმოქმედობისათვის ერთი წლით გამსახლში მოთავსება. ხელის უფლების ბოროტათ გამოყენებისათვის ერთი წლით გამსახლში მოთავსება.

სასჯელთა შეერთების სახით უმაღლეს სასჯელის ზომათ დარჩეს ერთი წელიწადი გამასწორებელ სახლში მოთავსება, სასტიკი იზოლიაციით და წინასწარი დაპატიმრების დროს ჩათვლით.

ბრალდებულ შელიას მიესაჯოს სახაზინო ქონების მითვისება-გაფლანგვისათვის ერთი წლით გამასწორებელ სახლში მოთავსება, მასვე თაღლითობისათვის ექვსი თვით გამსახლში მოთავსება. მასვე ოფიციალურ საბუთებში ყალბი შესწორებების შეტანისათვის ერთი წლით გამსახლში მოთავსება.

სასჯელთა უმაღლეს ზომათ დარჩეს ერთი წელიწადი თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ სახლში მოთავსებით სასტიკი იზოლიაციით და წინასწარ დაპატიმრების დროს ჩათვლით.

ახალი ამბავი

— რევტრიბუნალში. დღეს რევტრიბუნალში ირჩევა საარტ. დივიზიონის წით. არმ. არჩილ მჭედლიშვილის საქმე. ბრალდება ბრძანების აუსრულებლობა.

— დღესვე გაირჩევა აგრეთვე პეტრე არონიშიძის საქმე. (1-ლი ლეგ. წითელი არმიელია) ბრალდება დეზერტირობა და სახაზ. ქონების გაფლანგვა.

— **დეზერტირების საქმე.** 3 ივლისს რევტრიბუნალი გაარჩევს ცხენოსან ლეგიონის წით. მოლაშქრეთა ჯოშიაშვილის, ქიქინაშვილის, ფალავანდიშვილის და გაგნიძის საქმეები. ბრალდებათ დეზერტირობა.

— **წყალდიდობა აჭარაში.** 27 28 ივნისს აჭარაში მოვიდა დიდი წვიმები, რომელიც მალე გადაიქცა ნიავლვარათ. მდინარე ჩოლოქი ადიდდა და გადალეკა ახლო მახლო ნათესები, დაიღუპა ბევრი საქონელი და შინაური ფრინველებიც.

— **გვალვები აფხაზეთში.** აფხაზეთში დღემდე დიდი გვალვებია. მიწა დასკდა და ნათესები იღუპება.

— **ფოთის ჭაობების ამოშრობა.** 1-ლ ივლისს ფოთში გაემგზავრა სპეციალური კომისია ინჟინერების, რომელთაც დავალებული აქვთ შეადგინონ გეგმა ფოთის ჭაობების ამოსაშრობათ.

— **სიმინდის მოსავალი.** საქართველოს ბევრ ადგილებში სიმინდის მოსავალი ძლიერ გამოკეთდა უკანასკნელად მოსული წვიმების გამო.

— **შრომის ბირჟა და უმუშევრობა.** ვინაიდან ბოლო ხანებში ტფილისში მრავლათ ჩამოდიან უმუშევრები სხვა და სხვა ადგილებიდან ამიტომ შრომის ბირჟამ გადასწყვიტა დროებით შეწყვიტოს ახლათ ჩამოსულ უმუშევართა აღრიცხვა.

— **საზოგადოებრივ მყუდროების დარღვევისათვის.** ტფილისის მილიციისადმი გაცემულია განკარგულება, რომ დაუყოვნებლივ დააპატიმრონ ის მოქალაქენი, რომელნიც მთვრალები ქუჩაში უწესოებას მოახდენენ.

— **მატყლის დამზადება საქართველოში.** წარმოკავშირს ამჟამად უკვე დამზადებული აქვს 12.000. ფ. მატყლი. განზრახული აქვს დაამზადოს 30.000 ფუთი.

— **მოსავლიანობის შემმოწმებელი კომისიები.** თანახმათ ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოს ცირკულიარული განკარგულებისა თითქმის ყველა მაზრებში მოეწყო მოსავლიანობის შემმოწმებელი კომისიები.

— **ახალი აგარაკის მოწყობა.** ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა დაამტკიცა კომისია, რომელსაც დაევალა აგარაკ ნაფოცხვარის მოწყობა (გზის გაყვანა, ბინების მოწყობა, კოოპერატივის დაარსება და სხვ.)

— **წყალსაზომების გამოსასყიდათ.** ქალ. აღმასკომმა გადასდო 10.000 მანეთი ტფილისის წყალსადენის საჭიროებისათვის შეკვეთილ წყალსაზომების გამოსასყიდათ.

— **ავიაციის გაძლიერება.** სამსამრეწველო ბანკმა დაადგინა შევიდეს წევრათ ა. კ. საავიაციო საზოგადოებაში და შეიტანოს იმდენი თანხა; რამდენიც შეადგენს ერთი ჰაეროპლანის საფასურის ნახევარს.

ომი და ქიმია

დარიშხანას წყალბადი.

დარიშხანას კარგა ხანია რაც ხმარობენ მწერების მოსასპობად და თაგვების გასაწყვეტად დარიშხანის მჟავ ტყვიის, დარიშხანის ანგიდრიდის სახით და სხვა. მედიცინაში იგი ფართეთ იხმარება სუსტ ადამიანის მოსაღონიერებლად და უფრო მეტი გასაქანი მიიღო მას შემდეგ რაც ერლიხ-ხატამ აღმოაჩინეს კაცობრიობის ლახვარი ავათმყოფობის ლუესის (ათაშანგის) საწინააღმდეგო საშუალება სელვარსანი და და ნეოსელვარსანი, რომელნიც წარმოადგენენ დარიშხანის პრეპარატებს.

ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ გერმანელებმა მიმართეს დარიშხანას სხვა და სხვა შეერთებას, რომელთაც მნიშვნელობა ექნებოდათ ქიმიურ ბრძოლისათვის.

დარიშხანას წყალბადი ადვილი მისაღებია, რისთვისაც იღებენ დარიშხანის თუთის (ცინკს) და რაიმე წყლით გახსნილ სიმჟავეს ურევენ.

დარიშხანას წყალბადი უფერო აირია, ნიორის მეტად არა სასიამოვნო სუნი აქვს, ჰაერზედ თითქმის სამჯერ მძიმეა, სითხეთ ძნელად იკუმშება, შეთბობის დროს ძალიან ადვილად იშლება.

დარიშხანის წყალბადი მეტად შხამიან აირებს ეკუთვნის, თუმცა მისი მოქმედება ერთბაშად არ ხდება, არამედ მით მოწამლულ ადამიანს ნელ-ნელა, რამოდენიმე ხნის შემდეგ ემჩნევა.

ჩვეულებრივად მისი მოქმედება რამოდენიმე საათის შემდეგ იწყება. ამნაირათ მოწამლულს გული ემღვრევა და პირღებინებას აწყებინებს, გაუჩნდება კუჭის ტკივილი, ფაღარათი, ფეხებისა და ხელების ტკივილი, გულის სისუსტე, გონების დახშობა, ცოტაოდენი შელურჯება, რომელიც თანდათანობით საერთო სიყვითლეზედ გადადის. მოწამლული ადამიანი სისხლიან შარდზედ გადის. მოწამვლის დამახასიათებელ მოვლენათ მიღებულია სისხლის ჭურჭლების დაწყვეტა, შარდში სისხლის ნივთიერების გემოგლობინის გაჩენა და თირკმელებისა და ღვიძლის გადაგვარება.

დარიშხანის წყალბადის ერთი ბუშტი საკმარისია, რომ ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმოს.

იტალიელები ხმარობდენ მას ჰაეროპლანების ყუმბარებში.

დარიშხანის წყალბადის გასაბათილებლად ხმარობენ განსაკუთრებულად დამზადებულ ნახშირს, ქლორის კირს და პერმანგანატს.

გ. ბ—შვილი.

სასოფლო მეურნეობა

კართოფილის ავადმყოფობა „სიდამპლე“.

უკანასკნელ წლებში ჩვენში ძლიერ გავრცელდა კარტოფილის სიდამპლე. ამ ავადმყოფობას იწვევს თვალთუხილავი სოკო. ეს ავადმყოფობა ევროპაში და შემდეგ ჩვენში ამერიკიდან გადმოვიდა, სადაც ის ერთ დროს დიდ ზიანს აყენებდა კარტოფილის ნათესებს. ბოლო ხანებში ჩვენში ეს ავადმყოფობა იმდენათ გაძლიერდა რომ ზოგიერთ ადგილებში კართოფილის მოყვანა შეუძლებელი ხდება.

ასეა მაგალითად გურია-სამეგრელოში.

კართოფილის სიდამპლე იწყება ასე: სოკოს თვალთ-უხილავი ძლიერ პატარა თესლები (სოკოების თესლებს მეცნიერებაში ეწოდება—სპორები) ბლომათ მოიპოვება დაზიანებულ კართოფილში. როცა ავადმყოფი კართოფილი ერთ ქვეყნიდან ან კუთხიდან მეორეში გადააქვთ დასათესათ, მასთან ეს თესლებიც ითესება. თესლებიდან პატარა სოკოები ამოდის და ვითარდება იმავე კართოფილში. იმავე წელიწადს ეს კართოფილი იმდენათ ფუჭდება ამ სოკოებისგან, რომ არავითარ მოსავალს არ იძლევა. სოკოების თესლებით სავსე ნიადაგში შემდეგი ჯანსაღი კართოფილიც რომ დათესო ისიც გაფუჭდება—დაავადმყოფდება.

დაავადმყოფებული კართოფილი ადვილი საცნობია: ის დაფარულია აქა-იქ მრავალი—მუქი წერტილებით. ეს წერტილები თანადათან იზრდებიან, კართოფილს კანი ეჭმუჭნება, უნაოჭდება და შემდეგ თანდათან მაგრდება. ასეთ ავადმყოფობას ეწოდება მშრალი სიდამპლე, თუ ასეთი გამშრალი კარტოფილი, დაქსელილი სოკოების ძაფებით, სინესტეში მოხვდა, სოკოები მრავლდებიან, იკეთებენ თესლებს და მათ მიწაში ჰფანტავენ. თვით კართოფილი კი ლორწოს მზგავს სითხეთ გადაიქცევა. მე ხშირათ მინახავს დამპალი კარტოფილი გურია-სამეგრელოს ბაღებში. მათ როგორც კი მოჰკიდებთ ხელს მაშინვე გაისრისება.

ხშირათ კართოფილი დასნეულებულია, მაგრამ ავადმყოფობა სრულებით არ ეტყობა და საღი შეხედულება აქვს. ამიტომ სათესლე მასალა ასეთ ავადმყოფ კართოფილებიან მინდვრიდან არ უნდა აიღოთ, თორემ უეჭველია მოსავალიც ავადმყოფი და ცოტა გამოვა.

გარდა ბოლქვებისა ეს ავადმყოფობა კართოფილის ფოთლებსაც ვნებს. დაზიანებულ ფოთლებზე აქაიქ დაყრილია მკრთალი ფერის ლაქები. ამის გამო კართოფილის ფოთლები სუსტდებიან და რასაკვირველია მცენარეც კარგ მოსავალს ა იძლევა. ყველაზე უფრო ადვილ ავადმყოფობა მცენარის ნორჩ ყლო ტებს აზიანებს,

ამ შემთხვევაშიც ავადმყოფო განვითარებას ხელს უწყობს სინ ტე. კართოფილის გარდა ავადმყ ფობა პამიდორსაც ძ იერ ვნებს. ავადმყოფობის წინააღმდეგ საჭირ სასტიკი ზომები. ამაზე შემდეგ რილში.

მეურნე.

მეცნიერება და ტექნიკა

დეზინფექცია ძველად.

ძველ დროში ერთად ერთი საშვალება წყლის გასაწმენდათ იყო, მისი გადადუღება და ამნაირად ხმარება, არის სხვა და სხვა წყაროები, რომლებიც აშკარავებენ რომ ამ მხრივ გოგირდს დიდი გასავალი ჰქონდა და მას ხმარობდენ, როგორც სადეზინფექციო საშვალებას.

ერთა ლიგა და კალენდრის რეფორმა.

პარიზში შესდგება ერთა ლიგის სამეცნიერო კომისიის სხდომა კალენდრის რეფორმის მიზნით.

წამოყენებულია რამოდენიმე პროექტი. პირველი პროექტის თანახმად წელიწადი გაიყოფა ოთხ თანასწორ ნაწილად.

თითეული ნაწილი შეიცავს 91 დღეს (ორი თვე 30 დღიანი და ერთიც 31 დღით) ამასთანავე ყოველ წელიწადში შევა უანგარიშოთ ერთი დამატებითი დღე, ხოლო ნაკიან წლებში კი ორი დამატებითი დღე. ამნაირად თითეული ტსიმესტრი ანუ წელიწადის ნაწილი უნდა შეიცავდეს 13 კვირას, ხოლო თითეულ ტსიმესტრში იგივე რიცხვი შესაბამებდეს უნდა შავი კვირეების დღეებს. მეორე პროექტ თანახმად წელიწადი უნდა გაიყ 13 თვეთ. თითეულ თვეში კი ნება მხოლოდ 4 კვირა. ერთმა ა რიკელმა ასტრონომმა წამოაყ კიდევ წინადადება, რომელიც აზრისაა, რომ ეხლანდელ ნაკია წლების მაგივრად ყოველ ხუ წლის თავზე მომატებულ უნდა ნეს ერთი ორმოცდა მეცამეტე კ რაო.

შეიხ.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. გიოშვილს. თქვენი წერ ლი „ცალკე საკავშირო ასეულ წ. კუთხეში“ არ გვავა ამის შესახ უკვე იყო დაბეჭდილი. მოგვაწოდ სხვა კორესპონდენციები.

ამხ. ონ—ტოს. თქვენი კორ პონდენცია „ცენტ. კლუბში“ წავა. ამის შესახებ უკვე გვა ჩვენს გაზეთში.

ამხ. სამხკორებს. გაზ. „წით არმიელის“ რედაქცია გთხოვთ მოიაროთ რედაქციაში და მიიღ ივნისის თვის თქვენი ხვედრი ჰ ნორარი.

ყოველდღიური სამხედრო გაზეთი

„კრასნაია ზვეზდა“-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ თი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც თვით) მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბ „დიადი საფლავთან“ მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი

ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებ

გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით— 5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.

გამოვიდა ქართულ სამხედრო სარედაქციო-საგამომ ცემლო კოლეგიის მიერ გამოცემული კრებული

№ 1.

„წითელი მუშაკი“

ფასი ერთი მანეთი.

ყიდვა და გამოწერა კრებულისა შეიძლება შემდეგი მისამართით: კ ხოვრების ქუჩა (ყოფ. ლორის-მელიქოვის), სამხედრო კომისარია სტამბის შენობა, სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგიის ბინაზე

ნ. დ. . კ. ტირაჟი 1000 ისსამხედრო სტამბა კეცხოველ ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.